საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>გოგა კიკილაშვილი</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 30.05.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს გოჩა ჯეირანაშვილის კანდიდატურა?
(დიახ) არა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის გოჩა ჯეირანაშვილის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის No.1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის No.1/10 განკარგულებით, კანდიდატად დარეგისტრირდა **გოჩა ჯეირანაშვილი** (შემდგომში - „კანდიდატი").

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 19 აპრილს, ჩემი მონაწილეობით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა „კანდიდატის" საჯარო მოსმენა.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, 2024 წლის 21 მაისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს No.1/23 განკარგულების საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა სამი კანდიდატი: ბადრი შონია, გოჩა ჯეირანაშვილი და გიზო უბილავა.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] -ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, 2024 წლის 30 მაისს საბჭოს ღია სხდომაზე ჩატარდა კენჭისყრა, რა დროსაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად მხარი დავუჭირე გოჩა ჯეირანაშვილის კანდიდატურას.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის, აგრეთვე კანდიდატთა საჯარო მოსმენის შედეგად მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1]-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

ჩემ მიერ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატი შეფასებულია 91 ქულით, რაც „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1]-ე მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 91%-ს შეადგენს.

საჯარო მოსმენის ფორმატში კანდიდატმა გამოავლინა კანონმდებლობის, ასევე ქართული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის სიღრმისეული ცოდნა, ასევე კანდიდატს აქვს წარმატებული სამოსამართლო საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება, კერძოდ, კანდიდატი სპეციალობით მუშაობს უკვე 22 წელია, მათ შორის - მოსამართლედ 15 წელზე მეტია.

2024 წლის 20 მაისს ჩატარებული ღია კენჭისყრის შედეგად კანდიდატმა დააგროვა 1386 ქულა (92.40%) და საერთო რეიტინგში დაიკავა მეორე ადგილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესის სასამართლოს მოსამართლეობისათვის აუცილებელ მოთხოვნებს და მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენად.

გოგა კიკილაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი

30 / 05 / 2024